უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 25

20 15 წ. "01" 05

ქ.თბილისი

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის შესაბამისად

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206155328) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	მოყვარული პილოტი (ინგლისურ ენაზე)	III	მესამე საფეხურის პილოტის პროფესიული კვალიფიკაცია	50
2	კომერციული პილოტი (ინგლისურ ენაზე)	IV	მეოთხე საფეხურის პილოტის (კომერციული პილოტი) პროფესიული კვალიფიკაცია	70
3	საფრენი აპარატებისა და ძრავების ტექნიკური მომსახურება	IV	საფრენი აპარატებისა და ძრავების მომსახურების ავიატექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4	საფრენი აპარატებისა და ძრავების ტექნიკური მომსახურება (ინგლისურ ენაზე)	IV	საფრენი აპარატებისა და ძრავების მომსახურების ავიატექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

5	საფრენი აპარატებისა და ძრავების ტექნიკური მომსახურება	V	საფრენი აპარატებისა და ძრავების მომსახურების ავიატექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
6	საფრენი აპარატებისა და ძრავების ტექნიკური მომსახურება (ინგლისურ ენაზე)	V	საფრენი აპარატებისა და ძრავების მომსახურების ავიატექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
7	საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური მომსახურება	IV	საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების მომსახურების ავიატექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	60
8	საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური მომსახურება (ინგლისურ ენაზე)	IV	საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების მომსახურების ავიატექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
9	საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური მომსახურება	V	საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების მომსახურების ავიატექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
10	საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური მომსახურება (ინგლისურ ენაზე)	V	საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების მომსახურების ავიატექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

2. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 1 სექტემბრის №9 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე